



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N24**

ქ. ლანჩხუთი

25. 12. 2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** დარბაზში მყოფ საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა -ახალი წელი. უსურვა წინსვლა და წარმატებები როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე შრომით საქმიანობაში. ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს ეს საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. სარიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. სარიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. ნანაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ც. ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

9. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში 25 დეკემბერი მიულოცა იმ ადამიანებს, რომლებიც დღევანდელ დღეს აღნიშნავენ შობის დღესასწაულს. ასევე, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა დამსწრე საზოგადოებას, სრულიად საქართველოს და იმედი გამოთქვა, რომ 2019 წელი იქნება უფრო მეტი სიყვარულის, ხვავის, ბარაქის და დოვლათის მომტანი. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა სხდომას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი შედგენილ იქნა ახალი მეთოდოლოგიით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ქუთაისთან და რუსთავთან ერთად მოხვდა იმ სამ მუნიციპალიტეტს შორის, სადაც განხორციელდა საპილოტე პროგრამა, რომლის მიხედვით შემუშავებულ იქნა პროგრამული ბიუჯეტი. მართალია, პროექტში ბევრი

წინადადება დასახვეწია, მაგრამ ეს არის საპილოტე პროგრამა. მუნიციპალიტეტი 2020 წლის ბიუჯეტს უფრო მომზადებულები შეხვდება.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2019-2022 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ინფრასტრუქტურის კუთხით ბიუჯეტში ჯერ-ჯერობით სტიქიის თანხები გათვალისწინებული არ არის.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

საკრებულოს წევრის, **ელისო ჭიჭინაძის** თქმით, კარგია, რომ ყველა სოფელში იქნება აღრიცხული ეს ცხოველები, რადგან მუნიციპალიტეტში ამ მხრივ ძალიან რთული სიტუაციაა, განსაკუთრებით სკოლების მიმდებარედ. გამონაკლისს არც სოფელი ლესა წარმოადგენს, სადაც ეს პრობლემა შედარებით უფრო მძიმეა.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ძალიან მწვავედ დგას ყველა მუნიციპალიტეტში და მათ შორის ლანჩხუთშიც. მისი თქმით, მიმდინარე წელს დაახლოებით 130 ძაღლი იქნა გაყვანილი. ბოლო ეტაპზე კი გაყვანილი ცხოველები აცრილი და ყურზე ნიშანდასმული უკან იქნა მობრუნებული. შარშანდელ ბიუჯეტში ამ კუთხით გათვალისწინებული იყო დაახლოებით 4100 ლარი, წელს შესაძლებლობიდან გამომდინარე ეს თანხა გაორმაგდა და შეადგინა 8500 ლარი. სავარაუდოდ, გამოსაცხადებელი იქნება ტენდერი, რის შესაბამისადაც ყველა ტერიტორიულ ერთეულში აუცილებლობიდან გამომდინარე გატარდება სათანადო ღონისძიებები, მაგრამ პრივილეგირებული იქნება ქალაქი და ზღვისპირა ზოლი.

საკრებულოს წევრის, **იოსებ ჩხაიძის** აზრით, გარკვეული სახის ხარვეზებია საკანალიზაციო და სასმელი წყლის სისტემასთან დაკავშირებით. პრიორიტეტის დოკუმენტში წერია სასმელი წყალი, როდესაც მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში მიწოდებული წყალი ოფიციალურად არის ტექნიკური. არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა პროექტიდან ერთი სიტყვის ამოღება, რის შემდეგაც იგი იქნებოდა გამართული.

მუნიციპალიტეტის მერი დაეთანხმა საკრებულოს წევრს, რომ ქალაქის გარდა ყველგან მიეწოდება ტექნიკური წყალი. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროექტში ზოგიერთი წინადადება ნამდვილად დასახვეწია, მაგრამ ეს არის საპილოტე პროგრამა და ასეთი სახით პირველად შედგა. წყლის სისტემის განვითარების პროგრამის კონკრეტულ ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია 44000 ლარი, მაგრამ აქ საუბარია ექსპლოატაციაზე და არა იმაზე, რომ გაკეთდება ახალი მილსადენები.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, თუ რამდენად რეალურად მიაჩნია მას 16 ადმინისტრაციულ ერთეულში 44000 ლარით განხორციელდეს შესაბამისი მომსახურება, რადგან იმ პრობლემების მოგვარება, რაც ამ მიმართულებით ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულშია, საკრებულოს წევრის აზრით, ამ თანხის პირობებში რთული იქნება.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯები, როგორც წესი დგინდება შემოსავლების მიხედვით. გასულ წელთან შედარებით, როცა დამტკიცდა 2018 წლის ბიუჯეტი, წელს ბიუჯეტი გაზრდილია 1300000 ლარზე მეტით.

საკრებულოს წევრის, **იოსებ ჩხაიძის** თქმით, პროექტში საერთოდ არ არის ნახსენები მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც შეეხება საკანალიზაციო ქსელს. მისი აზრით, ასევე ჩასმული უნდა იქნას ქალაქის განაშენიანების გეგმა. ავტობანის ამოქმედება გამოიწვევს ძალიან დიდ ქაოსს, რადგან მთლიანად შეიცვლება ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა. ამიტომ საკრებულოს წევრს მიაჩნია, რომ საჭიროა ამ მიმართულებით დროზე დაიწყოს მუშაობა.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ქალაქის განაშენიანების გეგმას პრიორიტეტებში ვერ ჩასვამდნენ და მით უმეტეს, ვერც შესაბამის ციფრებს. ეს შეეხება

ასევე კანალიზაციის საკითხსაც. საკანალიზაციო ქსელის მოწყობას მუნიციპალიტეტში ესაჭიროება რამდენიმე მილიონი ლარი, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობებს აღემატება. პროექტში საუბარია იმ 10617000 ლარზე, რომელიც გამოყოფილია მთელ ადგილობრივ ბიუჯეტზე.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი გადადის პროგრამულ ბიუჯეტირებაზე, რომელიც ჩვეულებრივი, სტანდარტულად გაწერილი ბიუჯეტისგან განსხვავდება იმით, რომ წლის ბოლოს უნდა დადგეს კონკრეტული შედეგი, რომლის მორგებაზეც არის ორიენტირებული ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა. ის ვერ დაეთანხმება იმაში, რომ მოსალოდნელი შედეგი წერია წინასწარ. როცა ვთქვათ, მოსალოდნელი შედეგი არის 24 საათიანი წყალმომარაგება, წლის ბოლოს საკრებულოს წევრი მოითხოვს 24 საათიან წყალმომარაგებას.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში პროგრამა მოიცავს მხოლოდ ერთ ქვეპროგრამას. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლის ექსპლოატაციის და სასმელი წყლის რეაბილიტაციის ქვეპროგრამები. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტეს წილად ფინანსდება სახლმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე კონკრეტული პროგრამა შედგება ერთი ქვეპროგრამისგან-სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.

საკრებულოს წევრის, **ამირან გიგინეიშვილის** თქმით, პროექტში წერია პროგრამა კოდით 02 02 -წყლის სისტემის განვითარება. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, თუ ეს წელს არ ხდება, რატომ წერია ბიუჯეტში და საერთოდ, რატომ იხარჯება თანხა. ასევე მან აღნიშნა, რომ აქ საუბარია მარტივ რაღაცაზე, კერძოდ, დაფინანსება არის მოსალოდნელ შედეგზე, რომელიც უნდა იყოს სტატისტიკურად ჩაშლილი, დოკუმენტში თვალსაჩინო უნდა იყოს, თუ ნარჩენები რამდენჯერ იქნება გატანილი, რამდენი ხე დაირგვება, რამდენი მაწანწალა ძაღლი იქნება გაყვანილი, ამიტომ ეს აბსურდია და არ შესრულდება.

მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მიზნობრივად 44000 ლარი მოხმარდება ექსპლოატაციას. მისი თქმით, ნამდვილად არის წინადადებები, რომლებიც დასახვეწია. ამასთან, საკრებულოს წევრისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ეს დოკუმენტი კომპეტენტურმა ადამიანებმა მოამზადეს. ნებისმიერი პროგრამა ჩაშლილია, გაცემულია პასუხი და წარმოდგენილია თანხა. წინასწარ ვერ გაზომავთ თუ რამდენი ნათურა იქნება დაზიანებული და გამოცვლილი სტიქიის თუ სხვა რამის შედეგად, ასევე ვერ გათვლით რამდენი ძაღლი იქნება გაყვანილი, მაგრამ წლის ბოლოს თუ რამდენი ნათურა იქნება გამოცვლილი, რამდენი ცხოველი იქნება გადაყვანილი, რამდენი მილი და ტუმბო იქნება შეცვლილი და ზოგადად, რა იქნება გაკეთებული, ყველაფერზე იქნება შესაბამისი პასუხი გაცემული და წარმოდგენილი ციფრობრივად.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე.

საკრებულოს წევრი, ამირან ქანთარია შეეხო გარე ვაჭრობის საკითხს. მან უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ქალაქი გარე ვაჭრობის შედეგად ბინძურდება და ნაგვიანდება. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, თუ რა კეთდება და რა იგეგმება, რათა მოწესრიგდეს ეს საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერი დაეთანხმა საკრებულოს წევრს, რომ ეს მართლაც რეალური პრობლემაა. მისი თქმით, იმ მცირე თანხებით, რის მოძიებაც მოხერხდა, იანვრის თვიდან ქალაქის ცენტრი განიტვირთება. მიმდინეებებს სპორტული ცენტრის უკან მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება და მოწესრიგება, რის შემდეგაც, ქალაქის ცენტრში და მაღაზიის მიმდებარე განთავსებული ტრანსპორტი, ასევე გარე მოვაჭრეები გადავლენ აღნიშნულ ტერიტორიაზე.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება განათლება. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ასევე, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** მუნიციპალიტეტის მერს მიმართა, რომ მას წერილობით თხოვეს ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულმა პაციენტებმა. სადაც აღნიშნულია, რომ 9 წელია ერთი და იგივე თანხით ფინანსდება მათი ტრანსპორტირება. ამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა ფასები. ამასთან, ნაწილი ბენეფიციარებისა სამტრედიაში დადის, ზოგი- ბათუმში, მაგრამ არიან ავადმყოფები, რომელთაც ტრანსპორტამდე მისასვლელად ესაჭიროებათ ტაქსის მომსახურება, ასევე, თანმხლები პირი - გადაადგილებისთვის. საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერს გადასცემს ამ წერილს, რომელსაც ხელს აწერს იურისტი, მიხეილ ქურთუბაძე, რომელიც მუნიციპალიტეტის მერს თხოვს თავის პრობლემებზე რეაგირებას. საკრებულოს წევრის თქმით, მისი, როგორც უბრალო მოქალაქის აზრია, რომ აუცილებელია ამ ადამიანების ტკივილის გაზიარება და გულთან მიტანა, რადგან მათი მდგომარეობა ურთულესია. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ მოხდეს ბენეფიციარების თხოვნის გათვალისწინება.

საკრებულოს წევრს, ელისო ჭიჭინაძეს, დაეთანხმა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მოხდა ექიმებთან კონსულტაციები, სადაც მათი მხრიდან ითქვა, რომ ძნელია მუნიციპალიტეტში ამის მოწყობა, რადგან საჭიროა შესაბამისი გარემო და აპარატურა, არადა ბევრად უკეთესი იქნებოდა და შესაძლებელია იმ თანხით ადგილზე ყოფილიყო ამ ადამიანებისთვის მომსახურება გაწეული. რაც შეეხება სოციალური დაცვის პროგრამას, მუნიციპალიტეტის მერის თქმით, იგი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე 23 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი სამი საკრებულოს წევრი(ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, ირაკლი მარშანიშვილი) ; მიღებულ იქნა განკარგულება N101 (25.12.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**. როგორც ცნობილია, ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯებისაგან. ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 9,404.8 ათასი ლარით, ბიუჯეტის გადასახადები - 8,280.8 ათასი ლარით, ბიუჯეტის გრანტები განისაზღვრა 220.0 ათასი ლარით. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% განაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2020-2022 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების (ტრანსფერების) მაჩვენებელში ასევე გათვალისწინებულია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც უქმდება გათანაბრებითი ტრანსფერი. შესაბამისად, როგორც 2019 წელს ისევე შემდგომ წლებშიც ლანჩხუთის ბიუჯეტის შემოსულობებში გათანაბრებითი ტრანსფერი არ არის მოცემული. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, მცირეოდენი ზრდით შემდგომი წლებზე მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები. სხვა შემოსავლები განისაზღვრა

904,0 ათასი ლარით, ხარჯები განისაზღვრა 9 692.5 ათასი ლარით. ძირითადია: შრომის ანაზღაურება - 4 821,9 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება - 3 765,3 ათასი ლარით, პროცენტი - 38 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ეს პროცენტი წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან შექმნილი ნაგავმზიდ მანქანებთან დაკავშირებულ თანხას. სუბსიდიები განისაზღვრა 345,6 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 511,5 ათასი ლარით, სხვა ხარჯები - 210,2 ათასი ლარით. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 40,3 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 347,2 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 306,9 ათასი ლარით. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 328,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 287,7 ათასი ლარით, ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 350,0 ათასი ლარით. ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 9 711,7 ათასი ლარით, შემოსავლები - 9 404,8 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება - 306,9 ათასი ლარით. საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 061,7 ათასი ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 9 404,8 ათასი ლარით. მათ შორის გადასახადები - 8 280,8 ათასი ლარით, გრანტები - 220, 0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები - 904,0 ათასი ლარით. საშემოსავლო გადასახადი, როგორც ცნობილია, არ არის. დამატებითი ღირებულების გადასახადი - 6 980,8 ათასი ლარით, ქონების გადასახადი - 1 300,0 ათასი ლარით, საქართველოს საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) - 400,0 ათასი ლარით, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) - 400,0 ათასი ლარით, ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა) - 10, 0 ათასი ლარით, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 50,0 ათასი ლარით, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 440, 0 ათასი ლარით. ბიუჯეტის გრანტები განისაზღვრა 220.0 ათასი ლარით. ეს არის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები - 904,0 ათასი ლარით. მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 160,0 ათასი ლარი, რენტა - 160,0 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია- 44,0 ათასი ლარით, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 23,0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 10,0 ათასი ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 13,0 ათასი ლარით, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება - 21,0 ლარით, სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 700,0 ათასი ლარით. ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 4 821,9 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ ადრე მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების ხელფასები იყო ამ თანხში ფიქსირებული, ახლა კი იმ თანამშრომლების ანაზღაურებაცაა გათვალისწინებული, ვინც შტატით არის - ა(ა)იპ-ებში იქნება ეს, თუ მერიასა და საკრებულოში. საქონელი და მომსახურება განისაზღვრა 3 765,3 ათასი ლარით, პროცენტები - 38,0 ათასი ლარით, სუბსიდიები - 345,6 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 511,5 ათასი ლარით, სხვა ხარჯები - 210,2 ათასი ლარით.

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მოიცავს: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა განისაზღვრა 120,0 ათასი ლარით. აქ საუბარია ძირითადად იმ ტრანსპორტზე, რომელიც არ ყავს არც მუნიციპალიტეტის მერიას და არც საკრებულოს. ასევე გათვალისწინებულია ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებისთვის კომპიუტერების შეძენა. ინფრასტრუქტურის განვითარება განისაზღვრა 180,0 ათასი ლარით. როგორც ცნობილია, 2019 წლიდან ყველა საპროექტო სამუშაოებს განახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. ინფრასტრუქტურული პროგრამების, რაც სტიქიით იქნება და რომელთა ღირებულება გადაცილდება 50000 ლარს, საპროექტო დოკუმენტაციას გააკეთებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. განათლება განისაზღვრა 37,5 ლარით, კულტურა,

ახალგაზრდობა და სპორტი - 9,7 ათასი ლარით, სპორტის სფეროს განვითარება - 2,3 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარება - 7,4 ათასი ლარით.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვრა 306,9 ათასი ლარით. აქედან, ძირითადი აქტივები - 50,0 ათასი ლარით, ხოლო არაწარმოებული აქტივები - 256,9 ათასი ლარით ანუ მიწიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 3 016,6 ათასი ლარი. აქედან: აღმასრულებელი და წარმომადგენლობით ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები - 2 978,6 ათასი ლარი, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა - 2 848,6 ათასი ლარი, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა - 130,0 ათასი ლარი, ვალთან დაკავშირებული ოპერაციები - 38,0 ათასი ლარი, თავდაცვა - 127,4 ათასი ლარი, ეკონომიკური საქმიანობა - 133,0 ათასი ლარი, ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 912,0 ათასი ლარი, საბინაო კომუნალური მეურნეობა - 638,8 ათასი ლარი, გარე განათება - 303,8 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვა - 142,8 ათასი ლარი, დასვენება, კულტურა და რელიგია განისაზღვრა 2 011,5 ათასი ლარით, განათლება - 2 507,5 ათასი ლარით, სოციალური დაცვა - 550,1 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 328,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო - 287,7 ათასი ლარით. ფინანსური აქტივების კლება 350,0 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2019 წლის განმავლობაში.

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 22,0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს ნაგავშიდი მანქანებისა და ურნების შესაძენად მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. მას დაემატება პროცენტი, რაც საერთო ჯამში შედაგენს 51000 ლარს, მაგრამ გათვალისწინებულია 60000 ლარი, რადგან ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას გარკვეული პრობლემები. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 553.5 ათას ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 502.4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 763,3 ათასი ლარი. აქ ქვეპროგრამას წარმოადგენს გზების მიმდინარე შეკეთება - 100, 0 ათასი ლარი. პირველ რიგში, ტენდერი გამოცხადდება თოვლისაგან წმენდასთან დაკავშირებით. ქვეპროგრამაში ჩაშლილია 40000 ლარი, ხოლო დარჩენილი 60000 ლარიდან რა თანხაც იქნება გამოთავისუფლებული, გამოცხადდება ტენდერი, რომ მოხდეს ორმოული შეკეთება, რაც ასე აწუხებს მუნიციპალიტეტს. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია განისაზღვრა 44,0 ათასი ლარით, გარე განათება - 303,8 ათასი ლარით, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - 78,7 ათასი ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 33,0 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ერთ-ერთ დასკვნაში ეწერა, რომ ხომ არ შეიძლებოდა ქალაქის გარდა სოფლებშიც განხორციელებულიყო სასაფლაოების მოვლა, რაც მისი აზრით, გამწვანდება, რადგან მუნიციპალიტეტში დაახლოებით 50 სასაფლაოა. მათ მოვლა-პატრონობას და შენახვას მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს. რადგან ამას ემატება ისიც, რომ სასაფლაოების ძალიან დიდი ნაწილი ჯერ-ჯერობით არ არის მუნიციპალურ საკუთრებაში და ხდება მათი დარეგისტრირება, რათა მოხვდეს მუნიციპალურ საკუთრებაში. რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ 6 სასაფლაოს, იქ ხდება არა სასაფლაოების მოვლა, არამედ ეზოების გაცეცვა და მოწესრიგება. აღნიშნულ 78,7 ათას ლარში შედის ბალახის

მოცელვისთვის საწვავის და სხვა ხარჯები, ასევე, შეღობვისთვის და სხვა საჭიროებიდან გამომდინარე თანხები. მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით სასაფლაოების მოვლა-პატრონობას და შენახვას მილიონ ლარზე მეტი დაჭირდება, რაც მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატება.

საკრებულოს წევრი, კახა თედორაძე დაინტერესდა, არის თუ არა შესაძლებელი, რომ იმ სასაფლაოებთან, სადაც არ არის განათება, მიყვანილ იქნას შუქი, რასაც დაეთანხმა საკრებულოს წევრი, **ცისანა ურუშაძე** და დაამატა, რომ ასევე აუცილებელია სასაფლაოებთან წყლის მიყვანაც. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ 21 იანვრიდან დაიწყება სოფლებში შეხვედრები სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით, რომელსაც დაესწრება შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლები, ამიტომ მან მიმართა, როგორც მაჟორიტარ, ასევე არამაჟორიტარ საკრებულოს წევრებს, რომ იყვნენ მზად და მაქსიმალურად მოახდინონ მოსახლეობის მობილიზება, რადგან მათი აქტიური ჩართულობა სოფლის პროგრამებში აუცილებელია.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბოლოო ბიუჯეტი განისაზღვრა 10 061,7 ათასი ლარით, რაც გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 1,3041 ათასი ლარით, მომუშავეთა რაოდენობა შეადგენს 811 ადამიანს, მაგრამ ამ ჩამონათვალში შედის როგორც მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ასევე ის ა(ა)იპ-ები და შპს-ები, რომლებიც ფუნქციონირებენ მუნიციპალიტეტში. ამასთან, ეს არის მხოლოდ საშტატო ერთეულები და მასში არ არის ხელშეკრულებით აყვანილი ადამიანები.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტში გაშლილი და გაშიფრულია თითოეული სამსახური თავისი თანამდებობის პირების და თანამშრომლების რაოდენობით, ასევე ბიუჯეტითა და ქვეპროგრამებით.

საკრებულოს წევრის, **ამირან გიგინეიშვილის** თქმით, შრომის ანაზღაურება გასულ წელთან შედარებით 2 189,0 ათასი ლარიდან იზრდება 4 821,9 ათას ლარამდე. აქედან, მუნიციპალიტეტის მერიას დაახლოებით 100000 ლარით. ამასთან, ეს არ არის დაკავშირებული თანამშრომლების რაოდენობის მატებასთან, რადგან საკრებულოს საშტატო ცვლილება არ განუხილავს. ანუ ეს არის პრემია-დანამატები.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, პრემია-დანამატები არც მიმდინარე წელს ყოფილა და არც მომავალ წელს იგეგმება. შესაძლებელია მოხდეს ხელფასების მოწესრიგება, რადგან არის გარკვეული სხვაობები. აბსოლიტურად ყველა მუნიციპალიტეტში ბიუჯეტი გათვლილია 12 თვეზე. რაც შეეხება საშტატო სიტუაციას, არ იყო რაღაცეები გათვლილი, თუნდაც მუნიციპალიტეტის მერის მეორე თანაშემწე, რომელიც წინა ბიუჯეტში არ იყო, ასევე მერის წარმომადგენლები გასულ წელს გვიან დაინიშნა, ამასთან მათ 800 ლარიდან გაეზარდათ ხელფასები 1000 ლარამდე. ყველაფერი ეს არის სწორედ ამ თანხაში გათვლილი.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების გადაფარვა - 100000 ლარში, სავარაუდოდ ალბათ, ფეხბურთთან დაკავშირებული ვალი იგულისხმება. მან ასევე უკმყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაში შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია 99,9 ათასი ლარით. მისი აზრით, ეს თუ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურზეა, მაშინ აქ არ უნდა ეწეროს და გასარკვევია. გარდა ამისა, სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაში წერია, რომ გასულ წელთან

შედარებით ხარჯი 2 195,0 ათასი ლარიდან გაიზარდა 2 462,5 ლარამდე, ამასთან, წერია, რომ ემატება 26 თანამშრომელი. თუ ეს თანხა ამ ადამიანების ხელფასია, მაშინ სათქმელი არაფერი აქვს, მაგრამ დაინტერესდა, რატომ ემატება ეს თანამშრომლები.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, ამ თანხაში იგულისხმება ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც წარმოქმნილია წინა პერიოდში. არის რამდენიმე საჩივარი, რომლებზეც სასამართლო გადაწყვეტილებაა და მათ შორის ფეხბურთის თემაც. რაც შეეხება სკოლამდელ დაწესებულებებს, ეს 26 ადამიანი ახალი თანამშრომელი არ არის, არამედ 2-3 წლის განმავლობაში იყვნენ ბაღებში ხელშეკრულებით აყვანილები. პიროვნება ხელშეკრულებით შეიძლება აიყვანოს 2, 3 ან 4 თვით და როცა თანამშრომელი 3 წელი ხელშეკრულების საფუძველზეა, ე. ი. საჭიროა და უნდა იყოს შტატში გადაყვანილი. ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ეს გამოწვეულია საკვები პროდუქტების გაძვირებით, ასევე ტრანსპორტირების ხარჯით, როცა დასარიგებელია საკვები პროდუქტები და სხვა. გარდა ამისა, რაღაც დონეზე მოხდება ძალიან დაბალ ხელფასიანი ადამიანებისთვის ხელფასების მოწესრიგება. შარშან ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა, რადგან არათანაბრია ბაღებში ხელფასები. ერთი და იგივე თანამდებობაზე მყოფ ადამიანებს სხვადასხვა ბაღებში შეიძლება ქონდეს 30 ლარიანი სხვაობა, რაც მას მიაჩნია არასწორად. რა თქმა უნდა, ამაზე წავა მუშაობა და მოხდება ხელფასების გათანაბრება დატვირთვის მიხედვით.

საკრებულოს წევრის, **იოსებ ჩხიძის** თქმით, სტადიონის ფუნქციონირებისთვის გამოყოფილია 150,0 ათასი ლარი. ასევე წერია, რომ ქვეპროგრამის გამახორციელებელი არის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური, მაგრამ საფეხბურთო ბაზასთან დაკავშირებით არაფერი არ წერია. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, პატრონობს თუ არა ბაზას მუნიციპალიტეტი, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს ბაზის მოვლა-პატრონობისთვის ყავს აყვანილი თანამშრომლები. საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში თანხა გასულ წელთან შედარებით შემცირებულია 20000 ლარით. ბაღებთან დაკავშირებით გასაგებია, რომ გაძვირდა პროდუქტი და მოემატა თანხა, მაგრამ ამ შემთხვევაში დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია თანხის შემცირება. მას ესმის, რომ გამოცხადდა ტენდერი და შესაბამისი ა(ა)იპ უზრუნველყოფს ბენეფიციარების მომსახურებას. საკრებულოს წევრის თქმით, ხომ შეიძლებოდა, რომ ეს 20000 ლარი დაეტოვებინათ ამ ქვეპროგრამაში და გაზრდილიყო რაციონი, ან სოფლებში კვირაში ორი დღის ნაცვლად ერთი დღე დაემატებინათ. მისი აზრით, ასეთი მიდგომა და თანხის შემცირება, არასწორია.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, ადრე, როცა მუნიციპალიტეტის ბალანსზე იყო უპოვართა სასადილო, მაშინ მუნიციპალიტეტს ყავდა დაახლოებით 7 თანამშრომელი და მათი ანაზღაურება იყო ეს თანხა, ხოლო დანარჩენი დაფინანსება 80000 ლარამდე მიდიოდა კვებაზე.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** ასევე აღნიშნა, რომ ვალებთან და ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო მომსახურებასთან დაკავშირებით არ ფლობენ სრულ ინფორმაციას გარკვეული მიზეზების გამო. დაახლოებით მაისის თვიდან საკრებულოს წევრმა არაერთხელ მიმართა მუნიციპალიტეტს მერს თხოვნით, რომ მიეწოდებინათ შპს „რეალექსპერტთან“ და მუნიციპალური განვითარების ფონდთან დადებული ხელშეკრულებები, მაგრამ პასუხის გაცემასთან დაკავშირებით ყოველგვარი ვადები დარღვეულია, ინფორმაცია კი დღესაც არ არის მიწოდებული.

მუნიციპალური განვითარების ფონდთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ 2017 წელში, როცა მოხდა ამ საკითხის დამტკიცება, თვითონ იყო საკრებულოს წევრი. მაშინ იყო ინფორმაცია, რომ თანხას სანახევროდ გადაიხდიდა მუნიციპალური განვითარების ფონდი, ხოლო დანარჩენს მუნიციპალიტეტი. შემდეგ კი გაირკვა, რომ მთლიან თანხას ძირიან-პროცენტთანად იხდის მუნიციპალიტეტი, მაგრამ ყოველ წელს ხდება კლება და საბოლოო ჯამში მოუწევთ ძალიან ცოტა დანამატის გადახდა.

საკრებულოს წევრმა, **კახა ბოლქვაძემ აღნიშნა**, რომ ვალებისთვის განსაზღვრულ 100000 ლარში მხოლოდ ფიფას მიერ დაწესებული სანქციაა, თუ მომავალში სასამართლოს მიერ, თუკი ის დააწესებს რაიმე ვალდებულებას, ისიც იგულისხმება.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რაც იქნება მუნიციპალიტეტის მერიაში, ამ ეტაპისთვის ჩაიდო 100000 ლარი. საერთოდ, ნებისმიერი ვალდებულება, რომელზეც იქნება სასამართლო გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტი ვალდებულია გადაიხადოს.

საკრებულოს წევრმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ ტერიტორიული ერთეულებისთვის ხორციელდება კომპიუტერული ტექნიკის შეძენა. დეპუტატი დაინტერესდა, რომ შედის თუ არა ამ მიზნით გათვლისწინებულ თანხაში ინტერნეტით უზრუნველყოფა და შესაბამისი მომსახურების დაფინანსება, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ინტერნეტით უზრუნველყოფა დაწყებულია და ძალიან მალე მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ეს საკითხი მოგვარებული იქნება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** შეეხო ფეხბურთის თემას და აღნიშნა, რომ მას ამასთან დაკავშირებით პასუხიც არ აინტერესებს, არამედ დააფიქსირებს თავის მოსაზრებას. თუკი არ მოწონდათ საფეხბურთო კლუბში ყოფილი ხელმძღვანელის მენეჯმენტი, უბრალოდ გაეშვათ ეს ადამიანები გუნდიდან. მისი აზრით, რა საჭირო იყო მაშინ ის ფარსი აუქციონი, რომელშიც შეცდომით და უნებლიედ მიიღეს მონაწილეობა, თუკი ისევ უბრუნდებიან გუნდის დავალიანებას. საჭირო იყო სპონსორი, რომელიც ვალდებულებებს და მათ შორის, ძველ დავალიანებებს გაისტუმრებდა და ამაზე უნდა ესაუბრათ მაშინ.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის საბავშვო ბაღში ბავშვების რაოდენობა შემცირებულია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ისინი ცხოვრობენ ბაღიდან 6-7 კილომეტრის მოშორებით. მუნიციპალიტეტი სასულიერო გიმნაზიას ეხმარება 7 ათასი ლარით, რომლითაც ხდება 44 ბავშვის ტრანსპორტირება, რაც ძალიან კარგი და მისასაღმებელია. საკრებულოს წევრმა მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ მას აქვს თხოვნა, თუმცა მისი თქმით, ეს თითოეული საკრებულოს წევრის ვალდებულებაც არის, რომ საპილოტედ აიღონ რამდენიმე მაღალმთიანი სოფელი და 44 ბავშვის ტრანსპორტირებისთვის ასევე გამოყონ 7 ათასი ლარი. მართალია, საბავშვო ბაღები არის უფასო, მაგრამ ძირითადად, ეს ბავშვები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და ვერ ახერხებენ ბაღში სიარულს. საკრებულოს წევრის აზრით, ეს იქნებოდა არაჩვეულებრივი სოციალური პროექტი, რომ ნაწილ-ნაწილ მაღალმთიანი სოფლებიდან დაეწყოს ბავშვების ტრანსპორტირება.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, მუნიციპალიტეტი ამ ეტაპზე ამის განხორციელებას ფიზიკურად ვერ შეძლებს, მაგრამ იმ კუთხით თუ მოწესრიგდება რაიმე, რომ ამ ბავშვებმა

სკოლის ბავშვებთან ერთად იარონ, ეს უფრო შესაძლებელია. ამასთან, ერთი მაღალმთიანი სოფლის ბავშვებს მოემსახურონ ტრანსპორტით და სხვებს - არა, ასე არ გამოვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** დააფიქსირა კომისიის პოზიცია, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მომსახურების სამსახურს“ სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება 200000 ლარი. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ საბიუჯეტო წლის განმავლობაში მოხდება ამ დეფიციტის შევსება.

მუნიციპალიტეტის მერი დაეთანხმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მომსახურების სამსახური“ მართლაც რომ დატვირთულია როგორც საქმიანობით, ასევე - მომსახურების კუთხით, რაც მათ მიერ იქნა გაწეული. იმ დეფიციტს, რაც იქნება საჭირო, დეტალურად გაიანგარიშებს შესაბამისი სამსახურები. 1-დან 5 იანვრამდე ზუსტად ეცოდინებათ, თუ რა იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2018 წლის ნაშთი, რადგან მიმდინარე წლის ბიუჯეტი შესრულდა ნორმალურად და არის გარკვეული ნაშთი, რის შემდეგაც საკრებულოს პირველივე სხდომაზე შესაძლებელი გახდება წარმოების დაწყება, რომ საჭირო თანხა მიიმართოს კონკრეტული ა(ა)იპ-სკენ, რათა სრულყოფილად იფუნქციონიროს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვამე** დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერს და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მომსახურების სამსახური“-ს უფროსი, დავით წულაძე ნამდვილად პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მიმდინარე წელს განხორციელებული დატვირთული და სრულყოფილი საქმიანობის გამო მადლობის ღირსია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** ასევე აღნიშნა, რომ სახელოვნებო სკოლებში არის სახელფასო დეფიციტი, კერძოდ, ერთიდაიგივე დატვირთვის მქონე ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ოდენობის ანაზღაურება და საუბარია ხელფასების მოწესრიგებაზე, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ასეთი ადამიანების შესახებ არის ინფორმაციები. აუცილებლად მოხდება ხელფასების გადახედვა და მოწესრიგება-დალაგება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კითხვით მიმართ მუნიციპალიტეტის მერს, ხომ არ იგეგმება რაიმე ტექნიკის შეძენა: JCB, გადამზიდი ან რაიმე ასეთი ტიპის. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული თანხა, მაგრამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოთხოვნით შეიძლება იგივე ჩოჩხათის, ნიგოთის ან სუფსის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის რეფონდიდან გამოყოფილი ფინანსების შემცირება და ამის საფუძველზე მოთხოვნილი იქნას ასეთი ტექნიკის შეძენა.

საკრებულოს წევრის, **ელისო ჭიჭინაძის** თქმით, ქონების გადასახადი წინა წლებში მეტი იყო, ვიდრე არის ახლა. დეპუტატი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქონება შემცირდა თუ რითაა ეს გამოწვეული. ასევე აღნიშნა, რომ ყოველ წელს ბიუჯეტის 1% გამოყოფილია კადრების გადასამზადებლად. საკრებულოს წევრს აინტერესებს, როგორია ამ კუთხით კონკრეტული შედეგი.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები დადიან ტრენინგებზე, რაც იგივე გადამზადებას ნიშნავს და როგორც მისთვისაა ცნობილი გასულ წელს ამ კუთხით დაიხარჯა

დაახლოებით 17000 ლარი. რაც შეეხება ქონების გადასახადს, ბუნებრივი რესურსებიდან ვერ მიიღეს ის თანხა, რასაც ელოდნენ, ამიტომ დაწერეს რეალური თანხა.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე 22 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი სამი საკრებულოს წევრი(ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, ირაკლი მარშანიშვილი) საკრებულოს ერთმა წევრმა არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა(ვერიკო კვიციანი).

მიღებულ იქნა დადგენილება N61 (25.12.2018)

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ვლადიმერ ნანაძემ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე 26 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N102 (25.12.2018)

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი, ცისანა ურუშაძე გავიდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობიდან და საკრებულოს სხდომას მიმართა, რომ აღნიშნული საკითხი მიიღოს ცნობად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ვერიკო კვიციანი**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებმა ლელა ჩახვაძემ და ცისანა ურუშაძემ გამოთქვეს სურვილი შევიდნენ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 საკრებულოს წევრი.

**მომხრე 26 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N103 (25.12.2018)**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ვერიკო კვიციანი**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა, ციცილო ჩხაიძემ მოითხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გაწევრიანება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 საკრებულოს წევრი.

**მომხრე 26 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N104 (25.12.2018)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილემ, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ **ციცილო ჩხაიძემ**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე 26 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N105 (25.12.2018)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე 26 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N106 (25.12.2018)

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ია ჩხაიძემ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.


კენჭისყრას ესწრებოდა 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე 26 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N107 (25.12.2018)

ამით საკრებულო სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke extending to the right.